მაჯდ ას-სალთანე, „მოგზაურობა“ (ქალაქ თბილისის აღწერა), (1894)



ქალაქი თბილისი აზიური რუსეთის უპირველეს ქალაქსა და მთელი კავკასიის ცენტრს წარმოადგენს. თავდაპირველად ის ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი იყო და მოსახლეობას, ძირითადად, ქართველები შეადგენდნენ. მოგვიანებით, სეფიანთა მმართველობის პერიოდში, ქალაქში მუსლიმები და შიიტები დასახლდნენ, საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ კი აქ რუსებიც მომრავლდნენ. ამჟამად სომხები, რუსები და გერმანელები ადგილობრივ მოსახლეობას ჭარბობენ. ევროპელების გარდა აქ სხვა ჯურის ხალხსაც შეხვდები: პოლონელებს, კაზაკებს, ჩერქეზებს და მალაკნებს.



[თბილისში მცხოვრებ] ირანის მოქალაქეთა პირველი ფენაა ვაჭრები, მერე მოდის ხელოსნები, მუშები და დღიურად მომუშავეები. ამათ გარდა არიან მაწანწალები და ბოროტმოქმედები, რომლებიც მდიდრებს ქურდავენ და აყაჩაღებენ.

მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971